

პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების კონფერენცია

კონფერენციის თემა: „პროექტზე დაფუძნებული სწავლება სკოლაში“

1. კონფერენციის დასაბუთება

პროექტგაკვეთილი - კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის განხორციელდა ტრენინგები: „ როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე და სასწავლო პროექტებზე.“ კონფერენცია ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელებაა. მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ მოსინჯონ თავისი ძალები, წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები, ასევე, მოუსმინონ კოლეგებს და გაიზიარონ მათი გამოცდილება.

2. მიზნობრივი ჯგუფი:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლები

3. კონფერენციის მიზანი

- კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს და სტიმული მისცეს პროექტზე დაფუძნებულ სწავლა/სწავლების პროცესს სკოლაში.
- მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეებმა შეძენილ ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოიყენონ პრაქტიკაში.
- გაიზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, მიიღებენ აქტიური მონაწილეობას სწავლის პროცესში და გაზრდის მათ პასუხიმგებლობას წავლის შედეგებზე.
- კონფერენცია დაეხმარება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეს საკუთარი კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები გაზარდოს.
- მასწავლებელს მიეცემა შესაძლებლობა სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია როგორც სასწავლო პარტნიორმა.
- კონფერენციის მონაწილეები გაუზიარებენ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას, მიეცემათ საშუალება მოიპოვონ სქემით გათვალისწინებული კრედიტები, რაც ხელს შეუწყობს მათ კარიერულ ზრდას.

- პროექტზე ჯგუფის მუშაობის შემთხვევაში სქემაში ჩართულ მასწავლებელს მიეცემა საშუალება გამოავლინოს ლიდერის თვისებები, ეცადოს ჩართოს პროფესიული განვითარების პროცესში თავისი კოლეგებიც, მოქმედი მასწავლებლები.
- კონფერენციაზე წარმოდგენილი პროექტები თვალსაჩინოს გახდის სკოლაში მიმდინარე სწავლა/სწავლების შედეგებს
- პროექტების განხორციელების პროცესში კონსულტირების საშუალებით გაიზრდება წარმოდგენილი პროექტების ხარისხი.

4. თემატიკის განსაზღვრა

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა საგნისა თუ საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს, რომლებიც ჩართულები არიან პროფესიული განვითარების სქემაში. მათ შესაძლოა გავლილი ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ ტრენინგი თემაზე: პროექტზე დაფუძნებული სწავლება სკოლაში.

5. კონფერენციაზე წარმოსადგენი მასალების განაცხადი

განაცხადის მიღება შესაძლებელი იქნება როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფის სახელით, ჯგუფის ლიდერი უნდა იყოს სქემაში ჩართული მასწავლებელი, ხოლო ჯგუფის მონაწილეები მისი კოლეგები მოქმედი სერტიფიცირებული ან არა სერტიფიცირებული მასწავლებლები.

განაცხადს თან უნდა ახლდეს:

- პროექტის თემატიკა, მიზანი და დაგეგმილი შედეგები
- მონაწილეები და რესურსები
- განხორციელების ვადები
- შეფასება და თვითშეფასება

კონფერენციები ჩატარდება თბილისში და საქართველოს რეგიონებში.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით:

პროფესიული განვითარების სქემის პროგრამის კოორდინატორი კახა ჟღენტი

Kjgenti@tpdc.ge

teachersprofessionaldev@gmail.com

ტელ: 577 646521

პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლები, რომლებმაც ვერ მიიღეს მონაწილეობა ტრენინგში სასწავლო პროექტების შესახებ, დაგვიკავშირდით.